

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში
ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, 13-14, 8.04.1998, გვ. 31) შეტანული იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. კოდექსის 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ ნაწილი:

“3¹. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, პროკურორი უფლებამოსილია, დასაბუთებული დადგენილებით, მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დევნის საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.”.

2. 44-ე მუხლის 38-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„38. მცირეწლოვანი – პირი, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი